

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“



კონკურსის მეშვეობით
ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული
საცხოვრებელი სახლების
სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღიძვლო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების
შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ბათუმი

2015 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

შესყიდვის ობიექტი, ფასი, ვადები, ანგარიშსწორება

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია

საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი, წესი, ვადები და პირობები

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

ხელშეკრულების პროექტი

შესავალი

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“ 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინის პროექტირებასთან დაკავშირებით შესყიდვის პროცედურების განხორციელება, შესაბამისად აცხადებს კონკურსს, რომ გამოავლინოს საუკეთესო დიზაინერული ფორმა სხვადასხვა დიზაინის შესყიდვის მიზნით და შემდგომში კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა დიზაინის (კონცეპტუალური ესკიზი) შექმნა.

შესყიდვის ობიექტი, ფასი, ვადები, ანგარიშსწორება

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“ აცხადებს კონკურსს ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენის - მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინის საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - მომსახურება მოიცავს შემდეგს: კარების დიზაინისა (რომელიც უნდა იყოს არსებული ისტორიული (მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისი პერიოდისთვის დამახასიათებელი თვისებებით) კარების ანალოგი და დიზინით მსგავსი და ა.შ.) და საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია.

მოთხოვნილი დიზაინის ნიმუშები დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით (მაქსიმალური მოცულობა 8 მგბ).

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება 10 000 (ათი ათასი) ლარი

საკონკურსო წინადადების ფასი სრულად შეიცავს კონკურსით გათვალისწინებულ სადარბაზოს კარების დიზაინსა და საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შექმნასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება, მიღება ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი) დღის ვადაში**.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა დამკვეთს მომსახურობა უნდა გაუწიოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **20 (ოცი) დღის ვადაში**.

ხელშეკრულება ძალაში შევა ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ადგილი, წესი, ვადები და პირობები

საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი

უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

საკონკურსო წინადადების მიღება იწყება **2015 წლის 30 მარტის 10 სთ-დან.**

დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის **31 მარტის 17:00** საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №25, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციული შენობა

საკონკურსო წინადადების გახსნა მოხდება **2015 წლის 31 მარტის 17:00 სთ-ზე.**

დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ყველა დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საკონკურსო განცხადებაში და ხელშეკრულებაში.

საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

- გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია დამკვეთან ერთად განახორციელოს ზედამხედველობა პროექტის შესრულების სხვადასხვა საფეხურებზე/ეტაპებზე, მის საბოლოო დასრულებამდე.

ახალი დასამზადებელი სადარბაზოს კარების ტექნიკური მახასიათებლები

1. სადარბაზოს კარები უნდა იყოს დამზადებული მკრივმერქანიანი ხის მასალისაგან **(წაბლი, მუხა, თელა, რუსული ფიჭვი-წვრილწიწვოვანი ლარიქსი (ე.წ. „ლისტვინცა“)**.
2. გამოყენებულ ხის მასალას ჩატარებული უნდა ჰქონდეს ფუმიგაცია.
3. შეწებვისას გამოყენებული მასალა უნდა იყოს ნესტსაწიამდეგო მასალები.
4. სადარბაზოს კარების ფერი უნდა შეთანხმებული იყოს **ერთდროულად პროექტის ავტორთან და „დამკვეთთან“**.
5. კარების ყდის სისქე **არანაკლები 65 მმ**. სიმტკიცისათვისა და მდგრადობისათვის დაიპრესოს **არანაკლებ ოთხ ფენად**.
6. კარის ჩარჩოს სადგარების სისქე უნდა იყოს **არანაკლები სიგანე 60 მმ** და სიფართოე **არანაკლებ 140 მმ** შესაბამისი პროპორციების დაცვით. სიმტკიცისათვისა და მდგრადობისათვის დაიპრესოს **არანაკლებ ოთხ ფენად**.
7. კარის გულის (ამოზნექილი-ასეთის არსებობის შემთხვევაში) **სისქე უნდა იყოს 45-50 მმ**. კარის ზედა ნაწილი უნდა განთავსდეს სარკმელი (ე.წ. ფორტოჩკა), რომელიც უნდა იღებოდეს სადარბაზოს ვენტილაციისათვის. სარკმელს უნდა ჩაისვას **გამჭვირვალე მინა არანაკლებ 4 მმ სისქით**, ხოლო იმ ნაწილში სადაც იღება იქ უნდა დამაგრდეს კარების დიზაინის შესაბამის ლითონის ჰედური ნაკეთი გისოსები.
8. კარების ძირში უნდა განლაგდეს ე.წ. ამოზნექილი „გულის“ დაპრესილი ხის ფირფიტა **არანაკლები 40 მმ სისქით**.
9. კარების ჩასმის შემდეგ კუთხეები შელესვა სავალდებულოა.

აქსესუარები

10. გარე სახელურები უნდა იყოს თითბერის (ლატუნი) ან ბრინჯაოს მასალისაგან დამზადებული ხის ფრაგმენტების ჩანართით ან უმისოთ. შიგა ფრაგმენტები შეიძლება იყოს გამარტივებული ფორმის და მასალით.
11. ანჯამები უნდა იყოს ფოლადის, ერთი ფრთის სისქე უნდა იყოს **არანაკლები 8 მმ სისქის 200 მმ სიგრძის, სიგანე 50 მმ**
12. ყრუ კარების ჩამკეტი (შპინგალეტები) კარების წონისთვის შესაბამისი სიმძლავრის.
13. ჩამკეტი მექანიზმი გასაღებიტ საჭირო შესაბამისი სიმძლავრის.
14. თითბერის (ლატუნი) **არანაკლებ 2 მმ** ფირფიტა კარის ძირის გასქელებული ნაწილის სრულად დაფარვისათვის
15. კარების ზღურბლი უნდა გაკეთდეს **მარმარილოს ან გრანიტის** მასალისაგან დიზაინის შესაბამის ფერებში.

სარესტავრაციო-აღსადგენი (ზუსტად აღდგენა მაქსიმალური ხარისხით) სადარბაზოს კარების ტექნიკური მახასიათებლები

გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სადარბაზოს კარების აღდგენა-რესტავრაცია განახორციელოს ისე, რომ მაქსიმალურად/ოპტიმალურად შენარჩუნებული და აღდგენილი იქნას სარესტავრაციო-აღსადგენი (ზუსტად აღდგენა მაქსიმალური ხარისხით) კარების ავთენტურობა, პირველადი მდგომარეობა.

სარესტავრაციო კარი უნდა დაიშალოს ნაწილებად, გაიწმინდოს და გასუფთავდეს სრულად ყველანაირი საღებავისაგან თუ მინარევისაგან. საღებავის მოცილება უნდა მოხდეს სპეციალური ხსნარებით, რომელნიც გამოიყენება ასეთ შემთხვევებში, ე.წ. „სმივკით“. შემდეგ მოხდეს გარეცხვა აცეტონის ხსნარით ან ე.წ. გამხსნელით („რასტვარიტელით“), დაზუმფარდეს (გაიშკურკოს) სხვადასხვა ზომის ზუმფარებით („შკურკა“), აუცილებლად მოხდეს ფუმიგაცია და ამის შემდეგ კარების აწყობა.

თუმცა მანამდე, თუკი სარესტავრაციო-აღსადგენი კარების ჩარჩოს ახლავს ბზარები, ან/და არის შელახული, შიგა გული ფაქტიურად „ფუტუროა“, (დამპალია ან რბილია), შესაბამისად მას არ გააჩნია სიძლიერე, რომ შესძლოს სიმძიმის ატანა და ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს ახლით. სხვა შემთხვევაში, თუ ჩარჩოს აქვს მხოლოდ გარკვეული ნაწილები შელახული, რომლის შეკეთება ნაწილი სიგრძის შეცვლით ან ე.წ. ჩაშენებით შეიძლება, მაშინ უნდა შევინარჩუნოთ, აგრეთვე შეიძლება ჩარჩოს ჯანმრთელი ნაწილებისაგან, თუკი ისინი გვიწყობს ხელს თავისი ზომებით, გარე დაზიანებული მხარეების ჩამოთლა-ჩამოჭრით, შესაძლებელია მივიღოთ დასაპრესი ჩარჩოს სადგარის (კარკასის) ფენის ერთი, ორი ან სამი ნაწილი. შევავროთოდ(შევაწებოთ მაღალი პრესის ქვეშ) ახალ მასალასთან და გავაახლოთ. ამ შემთხვევაში ძველი მასალა, თუ ეს შესაძლებელია, საპრესი ფენებიდან გარე ფენას მივაკუთვნოთ მისი უფრო მეტი ავთენტურობის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება სარესტავრაციო-აღსადგენი კარების ფრთების ჩარჩოს: თუ მას გააჩნია დეფექტები: ბზარები, ან/და გააჩნია შიდა გულის სირბილე („ფუტურო“), რომელსაც არ შეუძლია შიდა შეერთებებში (ჩარჩოსა და ე.წ. „ფილიონკას“ შორის) იმუშაოს, და/ან დამჭერის, შემკვრელი ფუნქცია დაკარგული აქვს, მაშინ კარის ფრთის ჩარჩოც მთლიანად შესაცვლელია, სხვა შემთხვევებში, როგორებიცაა მაგალითად: თუ ჩავარდნილია კორმი, არის მოკლე ბზარები, ადგილი აქვს მოტეხილ კუთხეებს, რომელზედაც შესაძლებელია მიერთდეს/მიმაგრდეს ახალი დეტალები, მაშინ ასეთი კარების ფრთის ჩარჩო უნდა შენარჩუნდეს და მოხდეს აღდგენა-რესტავრაცია.

კარების ზედა სარკმელის (ფრამოვკა) მიმართებაშიც, რომელიც არის სადარბაზო კარის გარე ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, უნდა მოვიქცეთ ზემოთ მითითებული ვარიანტებისა და ჩასატარებელი პროცედურების მიხედვით, ისევე როგორც კარების ფრთების ზედა ნაწილში მდებარე სარკმელების მიმართებაშიც, რომლებიც გვხვდება გასაღებიანი(მოძრავი) და სტატიკურიც (უძრავი), აღდგენა-რესტავრაციას ექვემდებარება ზემოთ მითითებული ვარიანტებისა და პროცესების გავლას. ამ სარკმელებს, ზედა და ქვედა, ცალკეული მხატვრული დეტალები თუ აკლია, უნდა მოხდეს მათი აღდგენა, თუ ეს სარკმელები მთლიანად განადგურებული ან ამოღებულია, უნდა შეიცვალოს ახლით, ისე, რომ ჰარმონიაში იყოს არსებული კარების სხვა დეტალების ორნამენტებთან. (შესაბამისი ესკიზების მიხედვით)

ჭედურობა სარკმელზე, თუკი არსებობს და გადარჩენილია, უნდა გასუფთავდეს ძველი საღებავისგან გამოწვით ან სპეციალური ხსნარებით. ხშირად გვხვდება დეტალები შელახული ან საერთოდ აკლია ცალ მხარეს, ამ შემთხვევაში ხდება მათი დამზადება და ჩამატება ანალოგიურად გადარჩენილი დეტალისა. ჭედურობის არ არსებობის შემთხვევაში სარესტავრაციო პროექტის ავტორთან შეთანხმებით და შესაბამისი ნახაზის საფუძველზე ხდება მათი დამზადება.

სახელურები და ანჯამები („პეტლები“) არსებული კარების, რომლებიც ექვემდებარებიან რესტავრაციას, უნდა მოიხსნას, გამოიწვას, გასუფთავდეს სპეციალური ხსნარის მეშვეობით და დაუბრუნდეს თავის პირვანდელ სახეს. თუ სახელურებიდან მხოლოდ ერთი არსებობს, უნდა მოხდეს მისგან ყალიბის აღება და მისი მეშვეობით სხვა სახელურის ნაწილების იმავე მასალისაგან ჩამოსხმა.თუ საერთოდ არ არის

გადარჩენილი სახელოურები, ისევე ესკიზის ავტორთან შეთანხმებით, მის მიერ მოწოდებული ნახაზით, დამზადდეს ისინი. ასეთი მიდგომა უნდა იყოს ანჯამებთან („პეტლებთან“) მიმართებაშიც.

ჭედურობა და ანჯამები („პეტლები“) რესტავრაციის შემდეგ უნდა დამუშავდეს სხვადასხვა ზომის ზუმფარებით, გასუფთავდეს, სპეციალური გამხსნელით („რასტვარიწელი“), დაიგრუნტოს, დაიფაროს ანტიკოროზული ხსნარ-საღებავით, შემდგომ ისევე დაზუმფარდეს და მხოლოს იმის შემდეგ შეიღებოს.

კარების აღდგენა-რესტავრაციის ბოლო ეტაპი შეღებვაა. აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც მდგომარეობს მისი (კარების) ხის მასალით შემკობასა და შემოსვაში, მოგვეცემს მის ბოლო სახეს, რის შემდეგ ხდება შეღებვა ზეთის საღებავით. ფერი შეირჩევა არსებული შენობისა და ესკიზების ავტორის მიხედვით ფერადი საღებავით და არა ლაქით

თუ კარების ესა თუ ის ნაწილი ექვემდებარე სრულ აღდგენას, მაშინ პრენდენტმა უნდა ისარგებლოს შემდეგი რეკომენდაციებით:

სარესტავრაციო-აღსადგენი სადარბაზოს კარების დეტალების აღდგენის ტექნიკური მახასიათებლები

1. სადარბაზოს სარესტავრაციო-აღსადგენი კარების დეტალები დამზადდეს მკვრივმერქნიანი გამომშრალი ხის მასალისაგან **(წაბლი, მუხა, თელა, რუსული ფიჭვი-წვრილწიწვოვანი ლარიქსი (ე.წ. „ლისტვინიცა“)** შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
2. გამოყენებულ ხის მასალას ჩატარებული უნდა ჰქონდეს ფუმიგაცია.
3. შეწებვისას გამოყენებული უნდა იყოს ნესტსაწინააღმდეგო წებო-მასალა.
4. სარესტავრაციო-აღსადგენი კარის ყდის სისქე უნდა იყოს **არანაკლებ 65 მმ**, სიმტკიცისათვის და მდგრადობისათვის დაიპრესოს არანაკლებ ოთხ ფენად.
5. სარესტავრაციო-აღსადგენი ჩარჩოს სადგრების (კარკასის) ზომები **უნდა იყოს სისქე არანაკლებ 70 მმ და სიფართო არანაკლებ 140 მმ**-ისა, სიმტკიცისათვის და მდგრადობისათვის დაიპრესოს არანაკლებ ოთხ ფენად. გარე ფენა, თუ ეს შესაძლებელია, როგორც ზემოთ აღწერილი არის, უნდა იყოს არსებული კარის კარკასიდან გამოყვანილი მასალა.
6. ხის საპრესი დაზგა **უნდა იყოს მინიმუმ 300** ტონიანი სიმძლავრის, ანუ **ერთ კვ. სანტიმეტრ ხის მასალაზე უნდა მოქმედებდეს მინიმუმ 50-60 კგ**-ის შესაბამისი წნევის წნეხი.
7. სარესტავრაციო-აღსადგენი კარის ამოზნექილი გულის (ე.წ. ფილიონკა), სისქე უნდა იყოს **არანაკლებ 45 მმ**-ის.
8. სარკმელში, ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა ჩაისვას მინა, **არანაკლებ 4 მმ** სისქით, ეს მინა შეიძლება იყოს გამჭვირვალე, საარკისებური, დაბურული (ე.წ. „აჟურული“), იქ მცხოვრები მოქალაქეებთან და პროექტის ავტორთან შეთანხმებით.
9. სარესტავრაციო-აღსადგენი კარის ძირში, თუ ეს შესაძლებელია ე.წ. ამოზნექილი გულის ქვემოთ, უნდა დამონტაჟდეს დაპრესილი ხის ფირფიტა, **არანაკლები 40 მმ**, რომელზეც გადაკრული იქნება თითბერი (ლატუნი), **არანაკლებ 2 მმ** სისქის ფირფიტა, კარის ძირის გასქელებული ნაწილის სრულად დაფარვისათვის.

10. სარესტავრაციო-აღსადგენ კარს ორივე მხრიდან უნდა გააჩნდეს მძლავრი სახელურები, თუ მას არ გააჩნია ასეთები. გარე სახელურები უნდა იყოს თითბერის (ლატუნი) ან ბრინჯაოს მასალისაგან დამზადებული, ხის ფრაგმენტების ჩანართით ან უმისოთ. შიგა სახელურის ფრაგმენტები შეიძლება იყოს გამარტივებული ფორმისა და მასალის.

11. უვარგისი ანჯამების („პეტლების“) აღდგენას არ დაქვემდებარების შემთხვევაში, ახალი ანჯამების („პეტლები“) მასალა უნდა იყოს ფოლადის, ერთი ფრთა უნდა იყოს **არანაკლებ 8 მმ სისქის, 200 მმ სიგრძის, სიგანე 50 მმ**, რომლის მოძრაობა აგებული იქნება „ბურთულოვან“ სისტემაზე. ანჯამას უნდა გააჩნდეს ზემოდან ხვრელი ბურთულის გაპოხვა-დაზეთვისათვის.

12. ყრუ კარების ჩამკეტი (შპინგალეტები) შესაბამისი სიმძლავრის.

13. ჰიდრავლიკური კარ-საკეტი (ე.წ. შვეიცარი) კარების წონის შესაბამისი.

14. ჩამკეტი მექანიზმი გასაღებით, საჭირო სიმძლავრის.

15. საბოლოოდ რესტავრირებული სადარბაზოს კარების მხატვრულ-დეკორატიული ორნამენტების მქონე დეტალების ფორები და ბზარები (ე.წ. „შოვები“) ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა დაიგრუნტოს (გრუნტი უნდა დამზადდეს ხეხვის შედეგად მიღებული ფქვილა ნარჩენისა და მაღალი ხარისხის სპეციალური შენარევის ან ლაქის ნაზავით გაიხეხოს და დაზუმფარდეს. შეღებვა (გამოყენებული უნდა იყოს მოლოდ უმაღლესი ხარისხის საღებავები და მასალები) უნდა განხორციელდეს პულვერიზატორით (სითხის მისაშურებელი მოწყობილობა) გამოყენებით. ზემოთ ხსენებული პროცესები აუცილებლად უნდა განმეორდეს არანაკლებ ორ ჯერად.

16. აუცილებლად უნდა იყოს დაცული ფუმიგაციის, გრუნტირების, შეღებვის პროცესებსა და ადგილზე მონტაჟს შორის დროის ინტერვალი, ამ დროს მიმდინარე ქიმიური თუ ფიზიკური პროცესების (აორთქლება, გაშრობა) სრულყოფისათვის.

17. სადარბაზოს კარების ფერი უნდა შეთანხმებული იყოს **ერთდროულად პროექტის ავტორთან და „დამკვეთან“**.

18. კარის ზღურბლი უნდა გაკეთდეს მისი შესაბამისი ფერის გრანიტის მასალისაგან.

19. კარის ჩასმის შემდეგ კუთხეების (ატკოსების) შელესვა და გაღებვა სავალდებულოა.

შენიშვნა: *შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებით დასაშვებია სხვა ტიპის მასალის გამოყენებაც, იმ შემთხვევაში თუ მისი მონაცემები (როგორც ტექნიკური ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით) ნაკლები არ იქნება მითითებული მასალის ტექნიკურ მონაცემებზე და მდგრადი იქნება ბათუმისათვის დამახასიათებელი კლიმატისათვის.*

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

კონკურსში შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა: **კოეფიციენტი – 0,6;**

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: **კოეფიციენტი – 0,4;**

გ) შეფასება განხორციელდება **10 ქულიანი** სისტემით;

დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

საკონკურსო წინადადების ფასი:

- ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
- გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (10 000 ლარი) არ განიხილება.

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია

საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- საკონკურსო წინადადების ფასი - ფასების ცხრილი;
- კარების დიზაინი (ნახატი) და საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები.

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირებისგან:

წევრი _ შორენა ხუჯაძე; ტელ: [577 10 15 97](tel:577101597);

ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება ---
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

----- 2015 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარე ავთანდილ დარჩიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „-----“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“ სახსრებით, (მველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღიციხვო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 71200000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კონკურსის მეშვეობით შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურების“ ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართი №1, სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს

პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურეობის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა

შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების მომსახურების რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“

მის: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის 25

სს ლიბერთი ბანკი

ანგარიშის ნომერი

GE88LB0115157814049000

საიდენტიფიკაციო კოდი **245603529**

თავმჯდომარე

ავთანდილ დარჩია

დანართი #1

| რიგი | მომსახურების აღწერილობა | ზომის ერთეული | რაოდენობა | საერთო ფასი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები | CPV კოდი |
|------|-------------------------|---------------|-----------|-------------|------------------------|---|----------|
| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| 1 | სადარბაზოს კარები | ცალი | 20 | | ქ. ბათუმი ასათიანის 25 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში | |
| | | სულ ჯამი: | | | | | |

„შემსყიდველი“
 ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი“
 თავმჯდომარე
 ავთანდილ დარჩია

„მიმწოდებელი“

ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული
საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების
დიზაინის საპროექტო მომსახურების

_____ (შევსების თარიღი)

_____ აღნიშნულ მომსახურებას გთავაზობთ _____ ლარად.

(პრეტენდენტის დასახელება)

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვიერად)

ფასების ცხრილი

| რიგი | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | საერთო ფასი |
|------|------------------|-------------|-----------|-------------|
| 1 | სადარბაზო კარები | ცალი | 20 | |
| | | | ჯამი: | |

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია 30 კალენდარული დღის განმავლობაში მისი წარდგენის დღიდან.

_____ (თანამდებობა, სახელი, გვარი)

_____ (ხელმოწერა)

სადარბაზოს კარების დიზაინსა და საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცი

*კარების დიზაინი
თითოეული მისამართის მიხედვით*

| რიგი | მდებარეობა | კატეგორია | საპროექტო-სახარჯთაღიფხვო ფასი |
|------|-----------------------|---|-------------------------------|
| 1 | გორგასალის #2 | I კატეგორია (ახალი) | |
| 2 | მაზნიაშვილის #2 | I კატეგორია (ახალი) | |
| 3 | ქუთაისის #11 | I კატეგორია (ახალი) | |
| 4 | კომახიძის #4 | I კატეგორია (ახალი) | |
| 5 | გოგებაშვილის #22 | II კატეგორია (ერთი-ერთში ანუ ახალი ზუსტი ასლის გაკეთება-კოპირება) | |
| 6 | გორგასალის #25 | II კატეგორია (ერთი-ერთში ანუ ახალი ზუსტი ასლის გაკეთება-კოპირება) | |
| 7 | გორგასალის #31 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 8 | გორგასალის #32 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 9 | ზ.გამსახურდიას #4 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 10 | ზ.გამსახურდიას #24 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 11 | ზუბალაშვილის #16(1) | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 12 | ზუბალაშვილის #16(2) | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 13 | მაზნიაშვილის #48 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 14 | საიათნოვას #5 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 15 | საიათნოვას #8 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 16 | ფარნავაზ მეფის #39 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 17 | ფარნავაზ მეფის #41 | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 18 | ფარნავაზ მეფის #45(1) | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 19 | ფარნავაზ მეფის #45(2) | III კატეგორია(რესტავრაცია) | |
| 20 | გორგასალის #26 | IV კატეგორია(გაახლება-დამატებითი მხატვრული ელემენტების გაჩენით) | |

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს თითოეული კარების ესკიზი და საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია ცალცალკე თითოეული მისამართის შესაბამისად, რომლიც ტექნიკური დავალების (კარების დიზაინი და საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია) შესაბამისად იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოს დამკვეთისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მაჩვენებლებზე, ხარისხზე, სტანდარტებზე, ძირითად საექსპლუატაციო მახასიათებლებზე, გამოსაყენებელ ნედლეულზე და სხვა სავალდებულო პარამეტრებზე;

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის დასახელება:

იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

ტელეფონს/ფაქსს, ელ ფოსტა:

საბანკო რეკვიზიტებს:

ხელმძღვანელის სახელს, გვარი, თანამდებობა:

საიდენტიფიკაციო კოდი:

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)